



# სასტუმროს საშუალო ფასები საქართველოში და სასტუმროს ფასების ინდექსი

მარტი 2018

- 3, 4 და 5-ვარსკვლავიანი სასტუმროთა ფასების ინდექსი მარტში, თებერვალთან შედარებით, 9%-ით გაიზარდა;
- 3, 4 და 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების 2-ადგილიანი ნომრების ფასები, მარტში, ყველაზე მეტად დედაქალაქში გაიზარდა (15.5%), ფასები ყველაზე მეტად შემცირდა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში (-10.6%);
- 3 და 4-ვარსკვლავიან სასტუმროთა ყველაზე მაღალი საშუალო ფასები ბოლო ხუთი თვის მონაცემებით (ნოემბერი 2017-მარტი 2018) მცხეთა-მთიანეთში ფიქსირდება;
- მარტში საქართველოს 292,017 ტურისტი ეწვია, რაც თებერვლის მაჩვენებელს 64%-ით აღემატება.

## სასტუმროების საშუალო ფასები


2018 წლის მარტში, საქართველოს მასშტაბით 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა<sup>1</sup> 132 ლარი შეადგინა. სამ ვარსკვლავიან სასტუმროთა შორის ყველაზე მაღალი დღიური განაკვეთი მცხეთა-მთიანეთის რეგიონში დაფიქსირდა (საშუალოზე 32%-ით მაღალი).

4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა მარტში 230 ლარი შეადგინა. საშუალოდ ყველაზე ძვირი 4-ვარსკვლავიანი სასტუმროები მცხეთა-მთიანეთის რეგიონშია (საშუალოზე 19%-ით მაღალი).

ბოლო ხუთი თვის განმავლობაში, რეგიონებს შორის, როგორც 3-ვარსკვლავიან, ასევე 4-ვარსკვლავიან სასტუმროთა ყველაზე მაღალი საშუალო ფასები მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ფიქსირდება. აღსანიშნავია, რომ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბოლო მონაცემებით, რეგიონებს შორის ყველაზე მაღალი საშუალოთვიური ანაზღაურება-735.5 ლარი სასტუმროებისა და რესტორნების სექტორში მცხეთა-მთიანეთში დაფიქსირდა (2016 წელს). ასევე, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის კვარტალური ანგარიშების მიხედვით, ბოლო სამი წლის მონაცემებით, შიდა ვიზიტორების მიერ დასვენების მიზნით ყველაზე ხშირად მონახულებულ რეგიონებს შორის, აჭარის შემდეგ, მცხეთა-მთიანეთი ლიდერობს.

5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა 2018 წლის მარტის თვეში 378 ლარი შეადგინა. თბილისში, ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 580 ლარი შეადგინა, კახეთში - 416 ლარი, აჭარაში - 255 ლარი, ხოლო სამცხე-ჯავახეთში - 349 ლარი.

საოჯახო ტიპის სასტუმროების<sup>2</sup> საშუალო ფასმა მარტში 74 ლარი შეადგინა, ყველაზე მაღალი ფასი საოჯახო ტიპის სასტუმროებში ქვემო ქართლის და გურიის რეგიონებში დაფიქსირდა.



გრაფიკი 1: მოცემულია 3, 4 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროებში სტანდარტული 2 ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით. 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასები იხილეთ ტექსტში.

## სასტუმროების ფასების ინდექსი

სასტუმროების ფასების ინდექსი<sup>3</sup> 2018 წლის მარტში, თებერვლის თვესთან შედარებით, 6.4%-ით გაიზარდა. სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასები ყველაზე მეტად დედაქალაქში გაიზარდა (11.5%-ით), ფასები ყველაზე მეტად შემცირდა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში (5.4%-ით).

აღსანიშნავია, რომ მარტში, თებერვალთან შედარებით, საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა 31%-ით გაიზარდა, ხოლო 24 საათით და მეტი დროით (ტურისტი) საქართველოში 64%-ით მეტი საერთაშორისო ვიზიტორი გაჩერდა<sup>4</sup>.

3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 2018 წლის მარტში, თებერვალთან შედარებით, 9%-ით გაიზარდა. ამ ტიპის სასტუმროებში ფასები ყველაზე მეტად გაიზარდა თბილისში და აჭარაში. 3-ვარსკვლავიან სასტუმროთა სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის ფასები, წინა თვესთან შედარებით, ყველაზე მეტად შემცირდა მცხეთა-მთიანეთში.


საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასების დონე 2018 წლის მარტში თებერვალთან შედარებით 2.2%-ით შემცირდა. რეგიონების მიხედვით, ფასები ყველაზე მეტად სამცხე-ჯავახეთში შემცირდა.

რეგიონი	სასტუმრო	3*, 4*, 5*	საოჯახო
თბილისი	11.5%	15.5%	-2.3%
რაჭა	5.3%		5.3%
აჭარა	5.1%	9.2%	-2.3%
იმერეთი	1.5%	2.7%	0.8%
გურია	0.9%	0.0%	1.2%
ქვემო ქართლი	0.7%	1.1%	0.0%
კახეთი	-1.4%	0.9%	-1.9%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	-2.0%	-4.3%	-1.1%
სამცხე-ჯავახეთი	-4.5%	-3.0%	-5.5%
შიდა ქართლი	-4.9%		-4.9%
მცხეთა-მთიანეთი	-5.4%	-10.6%	-0.2%
სულ ფასების % ცვლილება	6.4%	9.0%	-2.2%

ცხრილი 1: ფასების % ცვლილება 2018 წლის მარტში 2018 წლის თებერვლის ფასებთან შედარებით

## სასტუმროს ფასების დინამიკა: 2017 ნოემბერი-2018 მარტი

### სასტუმროს ფასების ყოველთვიური ინდექსი (ნოემბერი 2017-მარტი 2018)



2017 წლის დეკემბრის სასტუმროთა ფასების ინდექსი 9.3%-ით ზრდის შემდეგ, ფასების ყოველთვიური ზრდა მარტში დაფიქსირდა-6.4%. 2018 წლის პირველ ორ თვეში სასტუმროების ფასები, წინა თვესთან შედარებით, მცირდებოდა.

ხუთი თვის მონაცემებზე დაყრდნობით, ფასების სტაბილურობით, დანარჩენ რეგიონებთან შედარებით, გამოირჩევა კახეთის, იმერეთის, ქვემო ქართლის და გურიის რეგიონები. აღნიშნულ რეგიონებში სასტუმროთა ფასები თვიდან თვემდე ნაკლებად იცვლება, რასაც ვერ ვიტყვივით თბილისის, სამცხე-ჯავახეთის და მცხეთა-მთიანეთის რეგიონების სასტუმროთა ფასებზე.

მარტში თბილისში სასტუმროთა ფასების 11.5%-იანი ზრდა დაფიქსირდა, ხოლო სამცხე-ჯავახეთში და მცხეთა-მთიანეთში სასტუმროთა სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრების ფასები შესაბამისად 4.5% და 5.4%-ით შემცირდა.

გრაფიკი 2: სასტუმროს ფასების ყოველთვიური ინდექსი

	ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები									
	I 2016	II 2016	III 2016	IV 2016	2016	I 2017*	II 2017*	III 2017*	IV 2017*	2017*
1	436.5	489.3	559.1	493.4	1978.3	458.7	549	647.7	579.9	2235.4
2	1136.7	1505	2245.1	1473.8	6360.5	1267	1730	2827	1732.1	7556.3
3	408.5	606.3	1146.6	559.6	2721	514.4	796.2	1473.6	695.3	3479.5
4	352.5	515.4	817.2	481.2	2166.3	434.6	658.8	1081.1	576.8	2751.3
5	83.1	103	107.8	92.4	386.3	81.4	109.5	152	120.7	463.6
6	8.3	0.8	12.5	35.3	56.9	16.1	31.7	30.6	11.6	90
1	ტურიზმის სფეროებში შექმნილი დამატებითი ღირებულება (მლნ. ლარი)			საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა (ათასი კაცი)			ტურისტების რაოდენობა (24 საათი და მეტი, ათასი კაცი)			
4	შემოსავლები საერთაშორისო ტურისტებიდან (მლნ. აშშ დოლარი)			საქართველოს მოქალაქეების ტურისტული დანახარჯები საზღვარგარეთ (მლნ. აშშ დოლარი)			პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სასტუმროების და რესტორნების სექტორში (მლნ. აშშ დოლარი)			

1 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3, 4, 5 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების მონაცემები მოხდა მკითხველით შერჩევით, ახალიბი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3, 4, 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკული გამოანგარიშებით. 2 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრობის მომსახურებას უწევს ოჯახი. 3 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო მონაცემების საფუძველზე ონლაინ მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით. (Consumer Price Index Manual-Theory and Practice(2004). Practical Guide to Producing Consumer Price Indices (2009). 4 ტურიზმის ეროვნული სააგენტოს მიხედვით, მიმდინარე წლის მარტში საქართველოს 578,514 საერთაშორისო ვიზიტორი ეწვია, აქედან 24 საათი და მეტი დროით ქვეყანაში 292,017 ვიზიტორი გაჩერდა. 2018 წლის თებერვალში საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა 440,806-ს შეადგენდა, ხოლო მათ შორის 24 საათი და მეტი დროით ქვეყანაში 177,845 ვიზიტორი გაჩერდა.